სატენდერო ხელშეკრულება - 2015 №359/02/7
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON150000001)
CPV: 09132000 - ბენზინი,

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების“ სააგენტო შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით და **მეორეს მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია“** შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი დირექტორის **ზაზა ქათამაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის №2173 განკარგულებისა და 2014 წლის 30 დეკემბრის N1051192 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. ავტორიზებული ავტომანქანა - შემსყიდველის ავტომანქანა, რომელშიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პრემიუმის მარკის საწვავის ჩასხმა.

1.8. აგაი სისტემა - სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და, შედეგად, უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე პრემიუმის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ - პრემიუმის მარკის (ბენზინი - ოქტანობა არანაკლებ 95) საწვავის შესყიდვა ეტაპობრივად, 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. საწვავის შეძენა განხორციელდება აგაი სისტემის საშუალებით რომლის მონტაჟსაც მიმწოდებელი განახორციელებს უსასყიდლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N2-ში

მითითებულ ავტომანქანებზე, შემდეგ კი შემსყიდველის მიერ წერილობით განაცხადში მითითებულ ავტორიზებულ მანქანებზე. გამონაკლის შემთხვევებში, სატენდერო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საწვავის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს პლასტიკური ბარათისა და ტალონის საშუალებით.

2.3. „აგაი" სისტემის დამონტაჟებამდე, პრემიუმის მიწოდება უნდა განხორციელდეს პლასტიკური ბარათების ან ტალონების მეშვეობით.

2.4. საწვავის სითხის სახით შესყიდვის შემთხვევაში ტრანსპორტირების ხარჯები დაეკისრება შემსყიდველს. საწვავის სითხის სახით გატანა განხორციელდება მიმწოდებელის მიერ მითითებული მისამართიდან.

2.5. საწვავის გაცემა განხორციელდება დანართი N3-ით განსაზღვრული ავტოგასამართი სადგურების საშუალებით და მხოლოდ შემსყიდველის ავტორიზებულ ავტომანქანებზე.

2.6. ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ხელშეკრულების ღირებულება და რაოდენობა

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 137 218 ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს, ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა

4.1 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C_{bid}/(R_{nov}*(D/1000)*(100\%+18\%)) - P_{nov}$$

რომელშიც: C_{bid} - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ პრემიუმზე (ლარში); R_{nov} – აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2014 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D - მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი პრემიუმის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% - დღგ; P_{nov} - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2014 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში - პლაცის ნიშნული). Z და D სიდიდეები უცვლელია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მიმწოდებელი ახორციელებს ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისთვის 1 ლიტრი პრემიუმის ნომინალური ღირებულების განსაზღვრას (შემდგომში - ნომინალური ღირებულება C_{nom}) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C_{nom} =R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

სადაც: P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს; Z და D – 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებული სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

4.3 ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასსა (P) ან/და ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლით კურსზე (R) დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი - C_1).

4.4 2015 წლის იანვრის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული 1 ლიტრი პრემიუმის საბოლოო ფასის (C_{bid}) ტოლი სიდიდით. ყოველი მომდევნო თვის სახელშეკრულებო ფასი კი გამოითვლება 1 ლ. პრემიუმის ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებს რა პლაცის ნიშნულისა და სავალუტო კურსის ცვალებადობას, ყოველი კალენდარული თვის პირველ რიცხვში, განსაზღვრავს 1 ლიტრი პრემიუმის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი პრემიუმის ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი პრემიუმის ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

ბ) სახელშეკრულებო ფასის დადგენისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი პრემიუმის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა კალენდარული თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%–ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C_1 უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი პრემიუმის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C_2) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.6 საანგარიშსწორებო ფასის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის (შემდგომში - „აგაი“ სისტემის) ან/და საბარათე სისტემის მეშვეობით პრემიუმის შესყიდვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველთვიურად წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას მიმდინარე თვის განმავლობაში მიწოდებულ პრემიუმზე. ასეთი შესყიდვის შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი პრემიუმის ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (C_{AV}).

ბ) არასაბარათე სისტემით პრემიუმის შესყიდვისას, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს თითოეულ ჯერზე გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურას, საწვავის გატანის დღეს. საანგარიშსწორებო ფასი გამოითვლება ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით განსაზღვრული საანგარიშსწორებო ფასის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს საწვავის მოთხოვნის დღისათვის მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით ნაკლები.

4.7 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტით განსაზღვრული P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი პრემიუმის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C_1), რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4.8 მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე ასევე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი პრემიუმის ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი პრემიუმის ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2015@spa.gov.ge.

4.9 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.9 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასზე დაყრდნობით.

4.10. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია დღგ-სგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საქონლის ფასი დაანგარიშდება წინამდებრე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ფორმულის შედეგად დაფიქსირებულ ფასს (C) გამოკლებული დღგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

ა) 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 1-ლი მაისისა, უნდა უზრუნველყოს იმ შემსყიდველი ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი ავტომანქანების (ავტორიზებული ავტომანქანების) აღჭურვა „აგაი“ სისტემით, რომელთანაც გააფორმებს ხელშეკრულებას პრემიუმის მიწოდებაზე.

ბ) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის აგაი სისტემის მონტაჟი წერილობითი განაცხადიდან გონივრულ ვადაში (ავტომანქანების რაოდენობისა და დისლოკაციის ადგილის გათვალისწინებით);

გ) საწვავის ტალონების (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით) მიწოდება შემსყიდველის განაცხადიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. ტალონების გადაცემაზე დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას);

დ) პლასტიკური ბარათების დამზადება შემსყიდველის განაცხადიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. პლასტიკური ბარათით შეძენის შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმდება დამატებითი დანართი N5 - პლასტიკური ბარათების მოხმარების წესის შესახებ.

ე) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათის ან ტალონის წარდგენისთანავე, ან „აგაი“ სისტემის შემთხვევაში - ავტოგასამართ სადგურებზე ავტორიზებული ავტომანქანის მისვლისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა საწვავით (საწვავის გაცემისას ხურდის სახით თანხის ან ტალონის დაბრუნება არ დაიშვება).

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2. <u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) საწვავის გაცემა უზრუნველყოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

გ) „აგაი“ სისტემის კომპონენტების დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას მოთხოვოს აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულების ანაზღაურება.

5.3. <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

ა) განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რაც მდგომარეობს ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა და შესაბამისი რაოდენობის (ლიტრის) საწვავის შეძენასა და ავტორიზებული ავტომანქანების ლიმიტების კონტროლში. იმ შემთხვევაში თუკი შემსყიდველის მხრიდან მოხდება ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა და საწვავის ლიმიტის გადახარჯვა, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ანგარიშფაქტურით განსაზღვრული თანხა.

ბ) ავტორიზებულ ავტომანქანებზე სანომრე ნიშნების ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აგაი სისტემაში ცვლილების შეტანის მიზნით (დანართი 4), წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა შესაძლო შედეგზე პასუხისმგებლობა დაეკისრება შემსყიდველს.

გ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

დ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით, სატენდერო დოკუმენტაციით ან/და სატენდერო კომისიის რეკომენდაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

ე) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, შემსყიდველის ავტორიზებულ ავტომანქანებზე „აგაი“ სისტემის მონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის მიზნით დანიშნულ დროს გამოცხადდეს მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართებზე. ასევე, გამოყოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, შეათანხმოს ვადები და ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა და სხვა საკითხები.

ვ) გაეცნოს მიმწოდებლის ვებ გვერდზე (<u>www.lukoil.ge</u>) „კონსოლიდირებული-2015“ ფანჯარაში განთავსებულ აგაი სისტემის ინსტრუქციას და შეასრულოს ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ზ) აკონტროლოს და მართოს მის სარგებლობაში არსებული ყველა ავტომანქანის მიმართ დაწესებული ლიმიტი, ავტომანქანის გადაცემის, გასხვისების ან ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გაანულოს ლიმიტი.

თ) საბარათე სისტემისა და „აგაი“ სისტემის პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირების თავიდან აცილების მიზნით, „შემსყიდველი“ ვალდებულია კონკრეტულ მანქანაზე „აგაი“ სისტემის ჩართვის შემდეგ უზრუნველყოს ბარათის დაბლოკვა. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში

ყველა შესაძლო შედეგსა და წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი“.

ი) „მიმწოდებლის“ სათაო ოფისში - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, წარმოადგინოს აგაი სისტემის მონტაჟის შედეგად („თ“ პუნქტის თანახმად) დაბლოკილი პლასტიკური ბარათები.

კ) „აგაი“ სისტემის კომპონენტების დაზიანებისას და მიმოწდებლის მოთხოვნის შემთხვევაში აუნაზღაუროს მას აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულება.

ლ) ავტოგასამართ სადგურზე მისვლისას წინასწარ შეატყობინოს ჩამსხმელს მისთვის სასურველი გადახდის ფორმის თაობაზე („აგაი“, ნაღდი ფული, ტალონი, პლასტიკური ბარათი). წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დაფიქსირდეს დუბლირებული ტრანზაქცია ორ სხვადასხვა სისტემაში (მაგ: „აგაი“ და პლასტიკური ბარათი), რომელიც აისახება ორგანიზაციის ანგარიშზე.

მ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. საწვავის ხარისხის კონტროლი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიას 2015 წლის განმავლობაში სამჯერ, არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით წარუდგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში, გაცემული დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ოქტანობა, არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი, გოგირდის შემცველობა, ტყვიის შემცველობა, ბენზოლის მოცულობითი წილი, ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის კალიბრი.

6.2 შემსყიდველ ორგანიზაციას ან მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გეგმიური ექსპერტიზის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯები უნდა გაიღოს იმ მხარემ, რომელმაც მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქვს უპირატესი ძალა, თუ იგი შესრულებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში. ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებელს შორის რაიმე საკითხთან დაკავშირებით (მაგ. საწვავის წარმოშობის ქვეყანასთან, მიმწოდებლისა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ექსპერტიზის დასკვნის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა).

6.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მის ეჭვს ავტორიზებული ავტომანქანის დაზიანების ფაქტსა და საწვავის ხარისხის შესაძლო მიზეზობრივი კავშირის თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს არაგეგმიური ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე. „აგაი“ სისტემით და პლასტიკური ბარათებით საანგარიშო თვის განმავლობაში მოხმარებულ საწვავზე ანგარიშფაქტურა გამოიწერება მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

7.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული პრემიუმის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.3. „არასაბარათე სისტემის“ (ტალონები და სითხე) შემთხვევაში - ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად გასატანი საწვავის რაოდენობის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.2 კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი პრემიუმის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) პრემიუმის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

9.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. <u>წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:</u>

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

11.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13.2. ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული გადახდის ნაწილში ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა

პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ფორს მაჟორული სიტუაციების დასრულების შემდეგ გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს მაჟორამდე არსებული ვალდებულებების შესრულება.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“
ს.კ 202294980
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული
სახელმწიფო ხაზინა ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი

---------- გ. გაგოშიძე

მიმწოდებელი:

შპს „ლუკოილ ჯორჯია“
ს.კ 204976302
მის: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ს.ს „საქართველოს ბანკი“
კოდი BAGAGE22
ა.ა GE52BG0000000117398101

დირექტორი

---------- ზ. ქათამაძე

დანართი №1

30 დეკემბერი 2014 წელი

#	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო საორიენტაციო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	პრემიუმი	არანაკლებ EURO 4	87 400 ლიტრი	1.57 ლარი	137 218 ლარი	ავტოგასამართი სადგურები დანართი 3-ის მიხედვით	01.01.2015-დან 31.12.2015-მდე

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“
ს.კ 202294980

დირექტორი

გ. გაგოშიძე

მიმწოდებელი:

შპს „ლუკოილ ჯორჯია“
ს.კ 204976302

დირექტორი

ზ. ქათამაძე

შენიშვნა: წინამდებარე დანართში მოცემულია ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე გაფორმების დღისათვის არსებული ერთეულის ფასის მიხედვით განსაზღვრული საწვავის საორიენტაციო რაოდენობა და ხელშეკრულების საერთო ღირებულება. კალენდარული წლის განმავლობაში ერთეულის ფასის ცვალებადობიდან გამომდინარე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდის ან შემცირების შემთხვევაში მოხდება მხოლოდ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული საერთო ღირებულების კორექტირება, ხოლო გახარჯული ლიტრაჟის ოდენობა განისაზღვრება საგადასახადო ანგარიშფაქტურით.

(შენიშვნაში მიუთითეთ რომელ მანქანაზე არ არის დამონტაჟებული აგაი სისტემა, ასევე თუკი რომელიმე მანქანა სარგებლობს პლასტიკური ბარათით.)

ავტორიზებული ავტომანქანების მონაცემები

N	ავტომანქანის სახ.ნომერი (ლათინურად)	ლიმიტის ტიპი (თვის ან დღის) არ მიუთითოთ ლიმიტის ლიტრაჟი	შენიშვნა
1	CJC-980	თვის	პლასტიკური ბარათი
2	FCF-580	თვის	პლასტიკური ბარათი
3	FCF-442	თვის	პლასტიკური ბარათი
4	AA-783-OO	თვის	პლასტიკური ბარათი
5	AA-782-OO	თვის	პლასტიკური ბარათი
6	AA-781-OO	თვის	პლასტიკური ბარათი
7	FCF-171	თვის	პლასტიკური ბარათი
8	FCF-172	თვის	პლასტიკური ბარათი
9	FCF-173	თვის	პლასტიკური ბარათი

საკონტაქტო პირი: დავით ჭიჭინაძე
მობ. ნომერი: 577 15 20 20
საკონტაქტო მეილი: Esida3@gmail.com

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“
ს.კ 202294960

დირექტორი

ბ. ბაგოშიძე

მიმწოდებელი:

შპს „ლუკოილ ჯორჯია“
ს.კ 204976302

დირექტორი

ზ. ქათამაძე

ავტოგასამართი სადგურების ჩამონათვალი

ქ. თბილისი

1. საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
2. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, "ვახუშტის ხიდის" მიმდებარე ტერიტორია
3. საბურთალო, გმირთა მოედანთან, „ლაგუნა ვერეს" წინ
4. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, რესტორან „იმერეთთან"
5. დიდუბე, წერეთლის გამზირი, "სამთოქიმიის" მოპირდაპირე მხარეს
6. დიდუბე, წერეთლის გამზირი, "სამთოქიმიის" მიმდებარე ტერიტორია
7. გლდანი, შეშელიძის ქ. №24, მეტრო "სარაჯიშვილის" მიმდებარე ტერიტორია
8. დიღომი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. (თბილისის შემოსასვლელში)
9. დიღომი, აღმაშენებლის მე-13 კილომეტრი; (თბილისის გასასვლელში)
10. დიღომი, აღმაშენებლის ხეივნისა და მიქელაძის ქუჩის გადაკვეთა
11. მ. ღრმაღელის მიმდებარე ტერიტ. ს/ს „ცისარტყელა"-ს მოპირდაპ მხარეს
12. საბურთალო, გელოვანის გამზირი №6, მეღვინეობა-მევენახეობის ინსტიტ მიმდ ტერიტორია
13. ვაკე, თამარაშვილის ქუჩა, ყაზბეგის გამზირის გადაკვეთასთან
14. კახეთის გზატკეცილი, ორხევის ხიდთან (თბილისის შემოსასვლელში)
15. კახეთის გზატკეცილი, მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდ. ტერიტ (თბილისის გასასვლელში)
16. ავლაბარი, წურწუმიასა და კროპოტკინის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია
17. ორთაჭალჰესთან, №72-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორია
18. ვარკეთილი, ჯავახეთის, კალოუბნის და შუამთის ქუჩებს შორის

რეგიონები

1. ქ. ხაშური, ბორჯომის გადასახვევთან.
2. თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალი, სოფ. ოკამი
3. ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი.
4. ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის №98 მისასვლელი ჭავჭავაძის მხრიდან.
5. ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №18
6. ქ. ონი, ვახტანგ VI ქუჩა №8ა
7. ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის №21
8. ქ. მარნეული 26 მაისის მოედანი
9. ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. №1
10. ქ. ბათუმი, აღმაშენებლის №4 (მეგობრობის №2)
11. ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №25
12. ქ. გორი, გორი-ცხინვალის გზატკეცილი №2
13. ქ. ჭიათურა შიო მღვიმელის №4ბ
14. ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის №185
15. მცხეთის რაიონი, სოფ. მისაქციელი

17. ნინოწმინდა, თავისუფლების ქ №35
18. ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ №10
19. ქ. ქობულეთი, მ.აბაშიძის №14
20. წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი
21. ქ. ახალციხე, კოსტავას ქუჩა
22. ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №9
23. გურჯაანის რაიონი, სოფ. ჩუმლაყი.
24. ქ. თელავი, დ.აღმაშენებლის ქ. №62ა
25. ქ. ხონი, ჭანტურიას ქ.№157.
26. დედოფლისწყარო. სოფ. ოზაანი
27. ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. №27

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“
ს.კ 202294980

დირექტორი

გ. გაგოშიძე

მიმწოდებელი:

შპს „ლუკოილ ჯორჯია“
ს.კ 204976302

დირექტორი

ზ. ქათამაძე

დანართი 4

(წერილის ნიმუში, რომელიც შემსყიდველმა უნდა გამოგზავნოს ავტომანქანების ნომრების ცვლილების შემთხვევაში)

იბეჭდება ორგანიზაციის ბლანკიან ფურცელზე

შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს
დირექტორს ზაზა ქათამაძეს

გაცნობებთ, რომ ჩვენს კუთვნილ ავტომანქანებზე განხორციელდა სახელმწიფო ნომრის ცვლილება.

გთხოვთ, განახორციელოთ შესაბამისი შესწორებები აგაი სისტემაში.

ორგანიზაციის დასახელება ---------- საიდენტიფიკაციო კოდი ----------		
№	ავტომანქანის ძველი სახ.ნომერი (ლათინურად)	ავტომანქანის ახალი სახ.ნომერი (ლათინურად)

ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი

შემსყიდველის საკონტაქტო პირის მობ.ნომერი--

საკონტაქტო ელ.ფოსტა --

MES 3 14 01051192

30/12/2014

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
დირექტორს ბატონ გრიგოლ გაგოშიძეს

სამსახურებრივი ბარათი

მოგახსენებთ, რომ სააგენტოს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ნავთობ პროდუქციის (საწვავის) მომწოდებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვადა იწურება მიმდინარე წლის 31 დეკემბერს.

ასევე მოგეხსენებათ, რომ ამ დროისთვის სააგენტო ბალანსზე რიცხული ავტომობილებისთვის 2015 წლის საწვაის სავარაუდო ხარჯია (ხარჯი გაანგარიშებულია ავტომობილებზე განსაზღვრული ლიმიტებისა და გასული წლების სტატისტიკის შესაბამისად):

1. ბენზინი 87 400 ლიტრი (პრემიუმი);
2. დიზელი 19 200 ლიტრი (ევრო დიზელი).

№	მოდელი	წელი	სახ.ნომ	ძრავი	ID ნომერი	საწვავის ლიმიტი წელიწადში
1	Mitsubishi L200	2012	CJC-809	2500	MMBJNKB40CD011851	9600 ლიტრი დიზელი
2	Kia Rio	2012	CJC-980	1400	KNADN512BC6755719	9000 ლიტრი ბენზინი
3	Kia Sportage	2011	FCF-580	2000	KNAPC811DC7255617	10200 ლიტრი ბენზინი
4	Kia Cerato	2011	FCF-442	1600	KNAFU411BC5541312	9000 ლიტრი ბენზინი
5	Hyndai Tucson	2010	AA-783-OO	2000	KMHJU81BCBU098234	10000 ლიტრი ბენზინი
6	Hyndai elantra	2011	AA-782-OO	1800	KMHDH41EBCU363658	10000 ლიტრი ბენზინი
7	Hyndai elantra	2011	AA-781-OO	1800	KMHDH41EBCU315733	10000 ლიტრი ბენზინი
8	Hyndai elantra	2011	FCF-171	1800	KMHD41EBCU315806	9200 ლიტრი ბენზინი
9	Hyndai elantra	2011	FCF-172	1800	KMHD41EBCU315706	10000 ლიტრი ბენზინი
10	Hyndai elantra	2011	FCF-173	1800	KMHD41EBCU315919	10000 ლიტრი ბენზინი
11	Hyndai h1	2007	SAK-855	2500	KMJWWH7HP7U830096	9600 ლიტრი დიზელი

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საწვავის შეძენა.

პატივისცემით,